დადგენილება №44/2024 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისა და დაცვის ინსტრუქციაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 44/2024
თარიღი: 26 დეკემბერი, 2024 წელი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის 2024 წლის 25 დეკემბრის №927 მოხსენებითი ბარათის (თან ერთვის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის 2024 წლის 15 ნოემბრის №10 სხდომის ოქმიდან ამონაწერი) და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 დეკემბრის № 17 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისა და დაცვის ინსტრუქციაში ცვლილებები თანდართული დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება გადაეგზავნოს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის შესაბამისი პროგრამებისა და მიმართულებათა ხელმძღვანელებს, სასწავლო დეპარტამენტს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს;
3.დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი